“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვი. 4 სექტემბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” შეხვედრას. თამაშის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის. მოგების შემთხვევაში თბილისელები ინარჩუნებდნენ პირველი ადგილის მოპოვების შესაძლებლობას, ტორპედოელებს კი ეს ორი ქულა უადვილებდა მესამე საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის შანსებს.

ამ გარემოებამ თავისი დაღი დააჩნია თამაშს. მოედანზე პირველივე წუთებიდან მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. “დინამოს” თავდამსხმელებმა მეტად მაღალი ტემპი განავითარეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. მე–14 წუთზე გათამაშებულ იქნა მეტად ეფექტური კომბინაცია კუთხური დარტყმიდან. კოტრიკაძემ ბურთი გადასცა სწრაფად წინ გასულ ელოშვილს, რომელმაც იგი ცენტრში გადააწოდა ვარდიმიადის. ამ უკანასკენლმა ბურთი კარში გაგზავნა – 1:0. ცოტა ხნის შემდეგ ნახევარმცველი ანთაძე მოულოდნელად გაიჭრა წინ და 18 მეტრიდან ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში ტორპედოელმა ივანოვმა გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი. მოსკოველებმა გაიტანეს მეორე ბურთიც, მაგრამ მსაჯმა ბელოვმა იგი არ ჩათვალა თამაშგარე მდგომარეობის გამო. თამაშის შედეგი 2:1 მოსკოველებმა გააპროტესტეს.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

“ლელო”, 6 სექტემბერი, 1953 წ.